# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 95

“19” მარტი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 მარტის №21.269.289 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, №5-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.12.022.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, №5

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი (კვ.მ.) | სართული | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გულიაშვილი | 59001060082 | 59.30 | სართული 1, ბინა №4ა | 01.17.12.022.009.01.004ა |
| 2 | ინგა ჯაბიშვილი | 59001001626 | 68.50 | ბინა №3 | 01.17.12.022.009.01.003 |